ახალი განთიადი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძღვერს გული„

„განთიად შეისმინო ხმისა ჩემისა, განთიად წარვდგე შენდა და გეჩვენო შენ„

2022 წელი 29 დეკემბერი № 11-12 (8186) ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

გილოცავთ შობა-ახალ წელს!

ეს, ყველენ ერთი ახალი წელიწადი, ვლობათ, ბედი მლევარი გამოიცვლოს ცხენებს ლა ჩვენს ცხოვრებაში მოვა ახალებური ნიმშვილი. ჩვენი ლა ბარეკეთ, იკნებიან ჩვენი შვილები განუმეორებელნი, მშობლები _ ჯანმრთელნი, მეგობრები _ ერთგულნი.

შემოკმედლის წყალობით ყოველთვის გვქონდეს მთავარი _ რწმენა, ნიყვარული, ნიყითი, ერთგულება, _ ერთი ნიდუვით, ყველაფერი ის, რაც, ნებისმიერი პოლიტიკოსი ამბობს მიუხედავად, გვაძლებინებს ამ ქვეყანაზე.

ერთგულებამ გაათბოს ლა გაამლიერონ ჩვენი ცხოვრები, ჯანოვჭები, ნამშობლო, რომ ახლს ილიას "მომავალი შენია!" რომ ვიამყოთ ჯარითვალობით, რომ ნაჯარითვალომ იამყოს ჩვენით!

ბატონებო და ქალბატონებო, მეგობრებო!

დარწმუნებული ვარ, რომ თითოეულმა თქვენგანმა იცის იმ უმნიშვნელოვანესი პროექტების შესახებ, რომლებიც განხორციელდა 2022 წელს.

2023 წლისთვის დაგეგმილი პროექტები და გეგმები კიდევ უფრო გაახარებს თქვენს ოჯახებს.

მინდა მოგილოცოთ დამდეგი ახალი 2023 წელი!

შობა-საახალწლოდ ყველა თქვენგანის ოჯახში დამკვიდრდეს ჯანმრთელობა, მშვიდობა, წარმატებები!

ბედნიერება, ხვავი და ბარაქა ნუ მოჰკლებოდეს ჩვენს საფიცარ მამულს.

მრავალ ბედნიერ შობა-ახალ წელს დაგვასწროს უფალმა თავისუფალ და ერთიან სამშობლოში.

მრავალჟამიერ!

ვახტანგ მაისურაძე,

კასპის მუნიციპალიტეტის მერი.

რამდენიმე დღეც და კალენდარულად ახალ წელს შეეგებებით — 2023-ს! კეთილი და მშვიდობიანი იყოს მისი მობრძანება და შემობიჯება ჩვენს ქვეყანაში, მუნიციპალიტეტში.

ყველას გისურვებთ, რომ საგაისოდ იმედებმა და სასიკეთო მოლოდინებმა გაგიმართლოთ, გეგმიური ჩანაფიქრები აგისრულდეთ პირადული თუ საქვეყნო კეთილდღეობისათვის! მშვიდობამ, ხვავმა და ბარაქამ დაისადგუროს შინ და გარეთ!

დამდეგ ახალ 2023 წელს გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო!

შოთა ბეგლარაშვილი,

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

წლის ანგარიში

კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ საზოგადოებას ერთი წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების შესახებ ანგარიში წარუდგინა.

ვახტანგ მაისურაძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ მერიამ ბევრი მნიშვნელოვანი, მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებული ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელა. კერძოდ, წელს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი ინფრასტრუქტურის მოწყობა, მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა, წყალმომარაგება, სკოლამდელი აღზრდა და სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა იყო.

მოსახლეობის ჯანდაცვა და სოციალური პროგრამები დაფინანსდა 1200 000 ლარით - ისარგებლა 2600 მოქალაქემ და 360 იძულებით გადაადგილებულმა ოჯახმა.

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე წლის განმავლობაში დაიხარჯა 24 მილიონ ლარზე მეტი.

2022 წელს მუნიციპალიტეტში (14 221 915 ლარი) დაიგო 23 700 გრძივი მეტრი გზის საფარი - 12 სოფელსა და ქალაქის 20 ქუჩაზე.

წლის განმავლობაში მოსახლეობის წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული სამუშაოების მიუხედავად, წყალმომარაგების მიმართულებით ჯერ კიდევ არის გამოწვევები, რომლის აღმოსაფხვრელად მომავალ წელს საკითხი კვლავ პრიორიტეტად რჩება.

აშენდა 2 ახალი და რეაბილიტირდა 3 საბავშვო ბაღი. მოეწყო საბავშვო სივრცეები, დასასვენებელი სკვერები, სპორტული ინფრასტრუქტურა.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეძენილია 2 ერთეული ახალი ნარჩენმზიდი ავტომანქანა, 200 ერთეული პლასტმასის ნარჩენშემკრები კონტეინერი, ავტომანქანა ამწე კალათა და გადაეცა ა(ა)იპ "კასპის კეთილმოწყობას".

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროგრამა დაფინანსდა 150 000 ლარით.

"სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში განხორციელდა 94 პროექტი.

რეაბილიტაცია ჩაუტარდა მერიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის შენობას.

სახელმწიფო პროგრამის "განახლებული რეგიონების" ფარგლებში სამუშაოები ქალაქის 2 ცენტრალურ - გიორგი საკაძისა და მერაბ კოსტავას ქუჩაზე განხორციელდა.

გარდა შეჯამებისა, მუნიციპალიტეტის მერმა დამსწრეებს 2023 წლის საწყის ეტაპზე დაგეგმილი სამუშაოებიც გააცნო.

ახალქალაქის ქალაქური ხასიათები

ძვირფასო კასპელებო! თანარაიონელებო!

გილოცავთ ახალ 2023 წელს!
გისურვებთ მშვიდობას, ულევ სიხარულს, სიკეთესა და წარმატებებს თქვენ და თქვენს ოჯახებს!
მჯერა, რომ ჩვენი ერთიანობით, შრომითა და ერთმანეთის გვერდში დგომით შევძლებთ, უკეთესი გავხადოთ ეს უმშვენიერესი მხარე.

ირაკლი მეზურნიშვილი,
საქართველოს პარლამენტის წევრი,
საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

სოფელ ახალქალაქში ამჟამად, ერთდროულად, რამდენიმე მნიშვნელოვანი სამშენებლო პროექტი ხორციელდება, ისეთი მასშტაბებით, რაც აქამდე კასპის არც ერთ ადმინისტრაციულ ერთეულში არ განხორციელებულა.

ამიტომ "ახალმა განთიადმა" გადაწყვიტა, წინასაახალწლო ნომრის სტუმრად წვევის პატივი ეთხოვა იქაური მიწა-წყლის შვილისათვის, ახალქალაქში მიმდინარე განახლებადი პროექტების განხორციელების იდეური სულისჩამდგმელისა და ინიციატორისათვის – ირაკლი მეზურნიშვილისათვის. ჩვენს რედაქციას ვისგან უნდა მიეღო ყველაზე სანდო და ამომწურავი ინფორმაცია, თუ არა მისგან, 37 წლის ქართველი დიპლომატისა და პარლამენტარისაგან, ვინც (2016 წლიდან მოყოლებული) არაერთი კეთილსაქმის გვირგვინისდამდგმელად მოგვევლინა კასპში და ახლა კი იგივქმნელია მშობლიურ სოფელში!

***

საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლების საჯარო მოხელე, მეტადრე მაღალ თანამდებობაზე გამწესებული პიროვნება, ამომრჩევლისა და, საერთოდ, თანამოქალაქეთა წინაშე მაშინაა ვალმოხდილი, როცა მათი ინტერესებიდან გამომდინარე საკითხების მოგვარება უთავია, გაუთავისებია და მათთვის მიცემული დანაპირები სიტყვა ქარისათვის არ გაუტანებია. აკი ხალხი ჯერ გაკეთებულ საქმეს ხედავს, აღიქვამს, მეხსიერების საპირწონეზე აწონდაწონის და ისე დაიმახსოვრებს, მხოლოდ ამის შემდეგ – საქმის მკეთებელს, მოამაგეს.

აგერ, ირაკლი მეზურნიშვილის მიერ 2016-2020 წლებში, კასპში მაჟორიტარად დეპუტატობისას, ჩვენს ქალაქში ინიცირებული და განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი:

ქ. კასპის ცენტრალური საფეხბურთო სტადიონი (სასპორტო ინფრასტრუქტურის უპირველესი ობიექტის საზეიმო გახსნისას, 2019 წლის ნოემბერში, კასპში ჩამოიყვანა ვეტერანი და პარლამენტარი მეგობარი - ფეხბურთელების ნაკრები და ლამაზი სპორტული ზეიმი დაამშვენა... მანამდე სოფელ წინარეხში, საჯარო სკოლის გახსნისას, ითავა "ვეტერანთა მატჩის" გამართვა);

სოფელ ხოვლის საჯარო სკოლა (მისი არსებული პროექტი "გაცოცხლდა", გაახლდა და ხოვლეში მწყობრში მრავალმხრივ უნიკალური სასკოლო დაწესებულებაა);

პროფესიული კოლეჯი და ტექნოლოგიური პარკი (ახალგაზრდობის განათლებისა და პროფესიული სწავლებისათვის გამიზნული ორი კერის ერთობლივ სივრცეში არსებობის იდეაც და განხორციელებაც მისეულია);

კასპის ჩრდილოდასავლეთ კარიბჭის გეოგრაფიულ არეალზე, კასპი-იგოეთის სამანქანო

გზის პირად, ქედის ფერდობზე დადგმა ელექტრონული თვალსაჩინოებისა: "მე მიყვარს კასპი".

***

სოფელ ახალქალაქში 2020-21 წლებში განხორციელდა უძველესი ციხე-გალავნის მასშტაბური რეაბილიტაცია.

... ბავშვობაში თანატოლებთან ერთად მისი ნანგრევების საიდუმლოებისა და ისტორიის დარანებში თუ ქვახვრელებში რამდენი ურბენია .. საზაფხულო არდადეგებზე ბებო-პაპასთან გატარებული სამოითხი თვის ტკბილი შთაბეჭდილებები დღემდე გაუხუნარია. ნათლად ხედავს და გრძნობს მაშინდელი სოფლის სისხლსავსე, მჩქეფარე ცხოვრების მომენტებს, როცა შეღამებულზე კლუბში კინოსეანსი დამთავრდებოდა და გოგო-ბიჭობა სოფლის უბნებსა და შუკებს სიცილ-ტკარცალით გადავსებდა... ნეტა, ვინ იყო ის დალოცვილი კეთილი კაცი, ვინც შაბათ-კვირაობით კარუსელებს გამართავდა იქაური პატარების ცაში ასატყორცნად და გულის გასახარებლად, თანაც, სად – ციხე-გალავნის ტერიტორიაზე (სადაც, უწინდელზე წინ, თურმე, იმავე ადგილზე ასეთივე კეთილი უცნობი მუსიკოსი დღეობების დროს გამოჩნდებოდა)!

***

წლევანდელ 27 ნოემბერს სოფელ ახალქალაქში საგანგებო მისიით იმყოფებოდა ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელი, იტალიელი ექსპერტი ემილიანო. მან საგულდაგულოდ შეამოწმა კორტების მშენებლობა-მოწყობის სამუშაოები, რაც ფინიშის სწორზეა გასული. სტუმარი აქ ნანახით, საქმის საერთო მდგომარეობით კმაყოფილი დარჩა, სიტუაცია მოიწონა, მომუშავეებს გარჯილობა შეუქო და სათანადო რეკომენდაციებიც გასცა. უეჭველია, 2023 წლის გაზაფხულზე ახალქალაქის საჩოგბურთო კორტები საზეიმოდ გაიხსნება. მასში მონაწილეობისათვის საგანგებო მოლაპარაკება იმართება მსოფლიო საჩოგბურთო სამყაროს რამდენიმე ვარსკვლავთან. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ირაკლი მეზურნიშვილის ამ ფრიად მნიშვნელოვანი იდეის აქტიური მხარდამჭერი და ხელშემწყობია საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრი ქალბატონი თეა წულუკიანი.

საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენელი მამუკა ბახტაძე, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს კორტების მოედნებზე (ასეთი კი 4-ია) სპეციალური საფარის დაგებას, ჩვენთან საუბარში განმარტავს, რომ ახალქალაქური კორტები სადღეისოდ ყველაზე უკეთ იქნება გამართული უკანასკნელი ტექნოლოგიური აღჭურვილობის თვალსაზრისით. ამბიციური, მაგრამ ყოველგვარ შესაძლებლობაზე გათვლილი, გეგმა გააჩნიათ ამ საქმის

მოთავეებს, რასაც ირაკლი მეზურნიშვილი ადასტურებს ფაქტით: ახალქალაქში ამოქმედდება საჩოგბურთო აკადემია! მასვე, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის თავკაცთა მხრიდან, მიღებული აქვს ინფორმაცია, რომ უკვე 2023 წელს ახალქალაქის კორტებზე გაიმართება დიდი შეჯიბრება უცხოელი სპორტსმენების მონაწილეობით და, კიდევ, ფედერაცია ახალქალაქურ ტურნირებს ჩართავს თავის ყოველწლიურ საშეჯიბრო კალენდარში!

***

ახალქალაქში გაისად, ვარდობისთვისათვის, იგეგმება დასრულება პროექტისა

"შატო მეფის ქალაქი". ესაა რამდენიმე მილიონიანი კომპლექსი, რაც მოიცავს ორდონიან მარანს, დიდ რესტორანს, საცურაო აუზსა და საკონფერენციო დარბაზს, და, ეს ყველაფერი – უმშვენიერესი გარემოს ხედებით, შიდა ქართლის ისტორიულ მხარეში. ამის კვალობაზე შესაძლებელი გახდება, კასპი გადაიქცეს საერთაშორისო დონის სიმპოზიუმებისა და კონფერენციების, შეხვედრების გამართვა-ჩატარების ადგილად, რადგანაც აქაური "შატო მეფის ქალაქი" იძლევა ნებისმიერი დონის სტუმრების გამასპინძლების გარანტიას.

***

უთუოდ, საინტერესოა, რა სახის სიახლეებს უნდა ველოდოთ დამდეგი და მომდევნო წლებისათვის?

მიმდინარე სასწავლო წლიდან სოფელში დაიწყო საჯარო სკოლის მოძველებული შენობის სრულმასშტაბური განახლების სამუშაოები.

არის დიდი სურვილი, რომ განხორციელდეს სასპორტო ინფრასტრუქტურული ქსელის გაფართოება და ახალქალაქი გახდეს ერთგვარად ჰაბი, გნებავთ ცენტრი, რომ ახალქალაქში აშენდეს ხელოვნურსაფარიანი უნივერსალური მოედანი – ფეხბურთისა და რაგბისათვის, მრავალპროფილური სასპორტო დარბაზი – კალათბურთის, ფუტსალის, ხელბურთისა და ფრენბურთისათვის.

ამირან ტალახაძე.

სოფელ აღაიანში მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ აღაიანში მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ, მერის პირველმა მოადგილემ დავით ქისიშვილმა და კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ შოთა ბეგლარაშვილმა დაათვალიერეს.

პროექტი რკინა-ბეტონის კიუვეტების, ორფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარის დაგებას და ეზოში შესასვლელების მოწყობას ითვალისწინებს.

გზის რეაბილიტაციის სამუშაოებს, რომლის სიგრძეც 3219 გრძივი მეტრია, ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ქვენიფნელნი" ახორციელებს.

აღნიშნული პროექტი გარდამავალია და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და კასპის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულება 1 968 999 ლარია.

როგორც ვახტანგ მაისურაძე აღნიშნავს, მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

"სოფელ აღაიანის მოსახლეობას მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა მრავალი წლის განმავლობაში აწუხებდა.

პროექტის დასრულების შემდეგ კი ადგილობრივები კომფორტული გზით ისარგებლებენ," - აღნიშნა კასპის მერმა.

,,ოფთალმიჯის,, ინიციატივით

სოფელ ხოვლეში კასპის მუნიციპალიტეტის ორგანიზებითა და ჯავრიშვილის ოფთალმოლოგიური კლინიკა "ოფთალმიჯის" ინიციატივით, ადგილობრივებისთვის მორიგი უფასო სამედიცინო აქცია გაიმართა.

მოსახლეობას კვალიფიციური ექიმების მიერ, თვალის წინასკანის დათვალიერება, ტონომეტრია-წნევის გაკონტროლება, საკითხავი სათვალის შერჩევა და სხვა საჭირო კონსულტაციები ჩაუტარდა.

სამედიცინო კონსულტაციით ისარგებლეს საპენსიო ასაკის პაციენტებმაც, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მათთვის განსაკუთრებულად ხელსაყრელი და კომფორტული იყო ადგილზე საჭირო კონსულტაციის მიღება, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში.

ჯავრიშვილის კლინიკა "ოფთალმიჯი" 1996 წელს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი ჯავრიშვილის მიერ დაფუძნდა.

კლინიკა მუდმივად თანამშრომლობს ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში მსგავსი ტიპის სამედიცინო შემოწმებებს ხშირად მართავს.

ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე

კასპში საგზაო ინფრასტრუქტურის სამუშაოები გრძელდება

კასპში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე გზის საფუძველის მოწყობის შემდეგ, ასფალტის პირველი ფენის დაგების სამუშაოები მიმდინარეობს.

ქუჩაზე, რომლის სიგრძე 306 გრძივი მეტრია, მოეწყობა ეზოში შესასვლელებიც.

ქუჩის მოასფალტების სამუშაოს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "გლობალჰაუსი" ახორციელებს. ვაჟა-ფშაველას ქუჩის სამუშაოების ღირებულება 117 984 ლარია და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

ქუჩაზე ასფალტის საფარი არასოდეს ყოფილა. ვაჟა-ფშაველას ქუჩის მაცხოვრებლები პროექტის დასრულების შემდეგ კეთილმოწყობილი ქუჩით შეძლებენ გადაადგილებას.

კონსტიტუციის ქუჩაზე

ქალაქ კასპში კონსტიტუციის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ, მერის პირველმა მოადგილემ დავით ქისიშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ შოთა ბეგლარაშვილმა ადგილზე დაათვალიერეს.

ქუჩაზე, რომლის სიგრძე 1 129 გრძივი მეტრია, ასფალტის პირველი ფენის დაგების სამუშაოები მიმდინარეობს, პარალელურად კი რკინა-ბეტონის ცხაურიანი კიუვეტები ეწყობა.

პროექტი რეგიონული განვითარების ფონდისა და კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით 602 999 ლარის ფარგლებში ხორციელდება, რომელსაც ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "ენდიროუდი" აწარმოებს.

კონსტიტუციის ქუჩაზე ასფალტის საფარი არასოდეს ყოფილა და გადაადგილებისას დისკომფორტული იყო. პროექტის დასრულების შემდეგ მოსახლეობა კომფორტული ქუჩით ისარგებლებს, - აღნიშნა ვახტანგ მაისურაძემ.

ქალაქ კასპის სპორტულ კომპლექსში გაიმართა ლევან ძამუკაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული ტურნირი კარატეში. ტურნირში მონაწილეობდა 6-დან - 18 წლის ზემოთ ასაკის საქართველოს 25 კლუბის 250-მდე სპორტსმენი.

ტურნირში მშობლების მიერ დაწესებული პრიზი 15 წლის ზესტაფონელმა საბა ჩიხუამ მოიპოვა.

გამარჯვებულს პრიზი პირადად ლევან ძამუკაშვილის მშობლებმა გადასცეს.

ტურნირის გამარჯვებული ყველა სპორტსმენი მედლებით და დიპლომებით დაჯილდოვდა.

ღონისძიებაზე იმყოფებოდნენ საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის ვიცეპრეზიდენტები მიხეილ ცილიკიშვილი და გოჩა თურმანიძე.

15 წლის ლევან ძამუკაშვილი ერთ-ერთი შეჯიბრების ფინალური ორთაბრძოლის დროს დაიღუპა.

ამ ტრაგიკული შემთხვევის შემდეგ მუნიციპალიტეტში მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი დაწესდა.

ხუთიათმეტი

მფარველი ძალა როგორ მოვიპოვოთ, მისი კალთა მუდამ რომ გვფარავდეს? გზააღმართს როგორ შევუყვეთ, ღვთისმოსაობისაკენ მიმავლებს მისივე ძალა რომ გვაძლიერებდეს?

უეჭველადა და უთუოდ – წუთისოფლის კეთილსაქმეთა ქმნით!

მაგრამ, როგორია და რომელია, რაგვარად ქმნილა ეს კეთილსაქმენი, ღვთის მარტოოდენ რჩეულთა რანგში რომ აღამაღლებს კაცსა, და რაკი დააკისრებს, მათ მომრეობასაც შეაძლებინებს, აღასრულებინებს, ანუ, განწმენდს, მიიახლებს, თვის თანაზიარად მიიჩნევს?!

ის, ჩვენი ნარკვევის გმირი, ასეთ კაცად, საქმე-საქმიანობის მესათავე პიროვნებად გვესახება. განგებისმიერად სწორედაც მას რგებია გზასავალი ეკლესიურ თუ კულტურულ საჩვენოდ წმინდა სულიერებაში და ისიც მოდის საშვილიშვილო მადლიერებით, მოდის კაცი-კაცითას და საქმე-საქმითას უპირველესობის პრინციპის უღალატობით და მცდელია მამაპაპათა თუ პეპერათა ანდერძისმიერი დანაბარებისა, პირგაუტეხლობისა, სინდის-ნამუსის დაღველფებისა... უკვე შვიდათეულს უახლოვდება და კარგია, რომ მარტო არ მოდის, საცხოვრისის ფართო შარაგზას უწალდავს შვილიშვილებს – აბულაძეთა საგვარეულო ხესიცოცხლისას სახვალიო ნერგებს. აკი ძენი მეტმეტობენ გვარში და ასულნი კი გონიერობენ... ჰო, წუთისოფლის წელიწადები თითქოს უფრო აჩქარებულა, წინაპართა სახება თითქოს უფრო ძვირფასდება.

თამაზ აბულაძეს, ჩვენი ნარკვევის გმირს, შეუძლია, მაშინაც კი შეუბეროს სული წინაპართა აჩრდილებს, როცა დედაქალაქური ყოფის საქმეებში თავი აღარ მოუჩანს, იქაურობას გაერიდოს და გულისგულიდან წამოსულ კარნახს დაუგურგურდეს: – თბილისი-ქვემო ჭალის ნაცნობი გზა კვლავაც დატკეპნოს ბორბლებით და საქვეყნო საქმეთაგან თავხსნილმა სოფლის წმინდა გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე დაიმუხლოს დიდი პაპისა და ბებიის საფლავებთან, დანთებულ სანთელს მუჭი უფაროს ქარის მონაბერზე და მეორე ხელი კი ათი წლის სანდრო-ახალნერგს გადაავლოს მხრებზე, როგორადაც პაპობით ბედნიერ კაცებს სჩვევიათ, რათა ხვალინდელებმა იგრძნონ პაპების მარჯვენა ტორის სამემკვიდრეო სიმძიმე და ძალმოსილება, თითქოსდა კრიალოსნის რგოლის ჩაუშლელობის ვალდებულების წილი გადაეცემოდეთ ლოცვით...

ასეთი რამე მარადიულობის ძილმოსილებით დაღლილ სასაფლაოზე, ანუ ქართული მიწის ხელისგულისოდენა ნაგლეჯზე დაანახო ყრმა მემკვიდრეს, სიცოცხლის ხიბლი და ეშხი რამდენად ზეობს მზისქვეშეთში, ალბათ, მხოლოდ მათ ხელეწიფებათ, ვისაც ღვთისრჩეულთა მანტია რგებია.

***

ქვემოჭალელი აბულაძეების საგვარეულო შტოს წინაპრები იმერეთიდან იყვნენ. იქიდან წამოსული პირველი აბულაძე შიდა ქართლში დასახლდა – კვერნაქის ქედის ჩრდილო კალთაზე, სოფელ რენეში. ახალმოსახლენი უწყლობას ვერ შეეგუენ. ბატონი თამაზი ძველ გადმოცემას იხსენებს, მამისაგან მოსმენილს: – ჩემი ბებიასაგან გამიგონია, უკანასკნელ კაბასაც გავყიდი და იმ ფულით იმდენს შევძლებ, ჩემი მომავლები ისეთ ალაგზე დავასახლო, სასმელი წყალი არ ენატრებოდეთო! მართლაც, ქვემო ჭალაში აირჩიეს ახალუბნის სამოსახლო, საიდანაც თვალის ახლო სამზერზე მოჩანს სხვილოს ციხე.

ახლა ქვემო ჭალაში აბულაძეებს სასმელი წყალი ნამდვილად არ უჭირთ, და, მაინც, საკუთრივ, ჭა ისეთი გამართეს, დებეტიც საკმარისი აქვს და ამო-გემოდაც სხვა ბევრი ვერ შეედრება. ჩავთვალოთ, რომ აქაც ღვთის ხელი ურევია.

აი, სამოსახლოდაც, ჭერქვეითიც ისეთი გაიჩინეს, როგორიც ორსაუკუნოვან ნაგებობას ეკადრებოდა – თავადი ამილახვრების შეძლებისა და სოფლიშვილობის მოწმე, დასტურ ისტორიული შარავანდედით მოსილი, სულაც ქართული სასახლე-დარბაზის კულტურული ძეგლის სტატუსი რომ მოერგებოდა! 2017-18 წლებში არსებულს შემატეს მშვენიერი, ვრცელი მარანი, ასევე მოჩუქურთმებული აივანი და მრგვალი ციხე-კოშკი.

სრასახლის ჭერქვეითში ვის აღარ უბინადრია გასაბჭოება-გაკომუნისტებისა თუ სახელისუფლებო კარუსელური ცვლილების წლებში, სკოლაც გაუხსნიათ და საბავშვო ბაღიც, მაგრამ ფაქტია, რომ ესოდენ საინტერესო ნაგებობას კერძო მესაკუთრე უნდა ჰყოლოდა. და გამოჩნდა ასეთი მფლობელი, ვინც ყადრიც იცოდა და კუთვნილ დანიშნულებასაც მიანიჭებდა! თუ არა განგებისმიერი ნება, ასეთ დროს ძველ სახლს ბედი არ გაეხსნებოდა!

***

თამაზ აბულაძე მემკვიდრე გახლავთ ქართველი მეტალურგების პირველთაობელი წარმომადგენლისა, ე. წ. "კადრის მუშისა" – ვასილ აბულაძისა, ვინც 1943 წელს ომის ცეცხლოვანი ფრონტის ნაცვლად შრომისაზე გაიწვიეს, რუსეთის ერთ-ერთ სამრეწველო ქალაქში გაგზავნეს მეტალურგის პროფესიის დასაუფლებლად და მეორე მსოფლიო ომის გადაქუხებისთანავე კი ქ. რუსთავში მიავლინეს, სადაც ახალბედა ქართველმა მეტალურგებმა არნახული ცეცხლი დაანთეს და იაღლუჯის ქედის ძირში ახალი ქალაქი გააშენეს. იქ, რუსთავში, მარტენის ღუმელებთან იღვაწა "ვასილ დავიდოვიჩმა" ათწლეულების მანძილზე ("ახალ განთიადთან" სატელეფონო საუბრისას მისმა შვილმა ქართული მხატვრული ფილმა გაიხსენა – "ისინი ჩამოვიდნენ მთიდან") და მერე კი, დამსახურებულ პენსიაზე რომ გავიდა, ძვირფას მეუღლეს, სენაკელი ხოშტარიას ქალს ჩაჰკიდა ხელი და, – ჰაი, გიდი, საით, როგორ ფიქრობთ?

– ჩემს მშობლებს ერთადერთი გზა ჰქონდათ. ის არასოდეს დავიწყებიათ. ის გზა ქვემო ჭალისაკენ მოდიოდა. კი, ისინი ქვემო ჭალაში დაფუძნდნენ საბოლოოდ და მოხუცებულობის წლები აქ გაატარეს. ამ გზას მეც ვერასოდეს მოვიშლი! – დარწმუნებით ბრძანებს ბატონი თამაზი, – ჩემს შემდეგ ამ გზით ივლიან ჩემი შვილები და შვილიშვილები, ჩემი ძმის შვილები და შვილიშვილები, მათი ბადიშები... უწინარესად მათთვის შევიძინე ვაზის ზვარიც, ჯერაც ამილახვრების პერიოდიდან რომ არის ცნობილი "შარამანის" სახელით და ის გადავაქციეთ მოვლა-ზრუნვის ობიექტად...



***

მეტალურგის შვილს სკოლის დამთავრების (1973 წ.) შემდეგ საით უნდა გაეხედა, თუ არა სამრეწველო-ტექნიკური დარგის მონათესავე სპეციალობისაკენ? ის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. უმაღლესი სასწავლებელი 1978 წელს დაამთავრა ენერგეტიკოსის სპეციალობით.

თამაზ აბულაძის სამსახურებრივი საქმიანობის საფეხურები განვლილი 40-წლიანი პერიოდის განმავლობაში საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება:

1978-1982 წლები – "საქენერგო": ინჟინერი;

1982-1986 – საქართველოს მშენებლობის სამინისტროს ტრესტი "მშენინდუსტრია": მთავარი მარკშეიდერი;

1986-1998 – საქართველოს მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს "კაპმშენებლობის" განყოფილება: ინჟინერი, მთავარი ინჟინერი;

1998-2007 – წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდის გენერალური დირექტორი;

2007 წლიდან დღემდე – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) "აბა ჯგუფის" დამფუძნებელი და დირექტორი.

დიახ, ასეთია პროფესიული წინსვლის კარიერული საფეხურები მშენებლობის დარგის კვალიფიციური სპეციალისტისა და ინჟინრისა, ვინც ქარგალიც ყოფილა და ოსტატიც, ვისაც ქვათახურობაც გამოუვლია და ქვაქარგილობაც...

და, ასეთ დროს, ზემოთ რატომ მოვიხმეთ განსაზღვრება "შთამბეჭდავი", როცა სამსახურებრივ საფეხურებს ჩამოვთვლიდით?

მაშ, ასე: მივუბრუნდეთ დროის იმ მონაკვეთს – თამაზ აბულაძე დირექტორობდა ფონდს, რომელიც მეოცეოცდამეერთე საუკუნეების მიჯნაზე (გავიმეოროთ: 1998-2007 წლებში) საქართველოს დედაქალაქში წმინდა სამების მშენებლობას განაგებდა.

– ბატონო თამაზ! რა გრძნობა დაგეუფლათ მაშინ, როცა ესოდენ უმნიშვნელოვანესი საეკლესიო ნაგებობის მშენებლობის ხელმძღვანელობა დაგეკისრათ? ახლა რას განიცდით, როცა სამების ტაძრის კომპლექსის აგებიდან წლებია გასული?

– ფონდის თავკაცობა ჩემთვის დიდზე დიდი პასუხისმგებლობა იყო. იმაში, უთუოდ, ერია ღვთის ნება, მრავალ კანდიდატს შორის არჩევანი ჩემზე რომ შეჩერდა. საერთო წარმოდგენა რომ შევიქმნათ საქმიანობის მოცულობაზე, ასეთ ფაქტს მოვიხმობ: მშენებლობის პროცესში ჩართული იყო 31 ქართული შრომითი კოლექტივი და, ამის გარდა, კიდევ 8 – უცხოეთიდან (მაგალითად, გერმანული, ბერძნული, ესპანური...). ნამდვილად არ იყო ადვილი საქმე მათთვის ერთიანი კოორდინირების გაწევა, მაგრამ თანამოაზრეთა ჯგუფმა ეს შევძელით. ამით დღემდე მომყვება ბედნიერებისა და უდიდესი კმაყოფილების განწყობაცა და გრძნობაც. ესოდენი წმინდა და სულიერ-ფიზიკური მისიის წილხვედრობაზე ნებისმიერი სხვა ინჟინერ-მშენებელი იამაყებს, ვინც არ უნდა აღმოჩენილიყო ჩემს ადგილზე.

კი, კი, უეჭველია, ბედის ნებიერი გამოვდექი და მისია კი ზენაარმა შემაძლებინა!

– როგორია პროფილი და მიმართულება თქვენი სამშენებლო კომპანიისა, რომელიც საქართველოს მასშტაბით 2007 წლიდან ფუნქციონირებს?

– "აბა ჯგუფის" კოლექტივის ძირითადი სფერო მოიცავს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების განახლებითი აღდგენითი სარესტავრაციო ხასიათის სამუშაოებს. მისი სამოქმედო არეალი ფრიად ფართოა, თბილისის გარდა სხვა ქალაქებსაც გადასწვდება, გვქონდა პატივი საზღვარგარეთაც შეგვევლო ხელი ქართული ძეგლებისათვის.

*** 2007-2022 წლებში სამშენებლო კომპანია "აბა ჯგუფის" (დამფუძნებელი და დირექტორი – თამაზ აბულაძე) მიერ შესრულებული და განხორციელებული სამშენებლო პროექტები მნიშვნელოვანი ობიექტების მიხედვით:

დასასრული გვ5.



ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲒᲛᲘᲠᲘ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲑᲐᲠᲜᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ

1918 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, სომხეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის ტერიტორიული კონფლიქტი წარმოიშვა. დაპირისპირების მიზეზი სომხეთის ხელისუფლებაში მოსული ულტრანაციონალისტური პარტიის, დაშნაკ ცუთიუნის ლიდერების პოლიტიკური შეხედულებები გახდა. მათი მოსაზრებით სამხრეთ-კავკასიის ყველა რეგიონი, სადაც სომხური მოსახლეობა შესამჩნევი ოდენობით იყო წარმოდგენილი, სომხეთის შემადგენლობაში უნდა შესულიყო.

1918 წლის 5 დეკემბერს ბორჩალოს მაზრის ლორეს უბნის სოფელ უზუნლარში (დღევანდელი ოძუნი) სომხეთის არმიისა და შეიარაღებული სომხური რაზმების ქართულ სასაზღვრო ნაწილებზე თავდასხმით დაიწყო სომხეთ-საქართველოს ომი, რომელმაც თითქმის ერთ თვეს გასტანა. საბრძოლო მოქმედებები სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარეობდა. შულავერის მიმართულების სარდლად II ქვეითი დივიზიის მეთაური, გენერალ-მაიორი გიორგი მაზნიაშვილი დაინიშნა, რომელმაც დიდი როლი ითამაშა შულავერის სპეცოპერაციისა და, საბოლოოდ, ომის წარმატებით დასრულებაში.

31 დეკემბრის 24 საათზე სომხეთ-საქართველოს ომი დასრულდა. გენერალ-მაიორ გიორგი მაზნიაშვილის ტელეგრამის მიხედვით: "31 დეკემბრის 24 საათისათვის ქართულ ჯარებს დაკავებული აქვთ: სოფ. ოფრეთი, სოფ. ხოჯორნი, სოფ. გულბაღი, სოფ. სადახლო, სადგური სადახლო, სოფ. ლამბალო, სადგურ სადახლოს ჩრდილოეთით მდებარე ქედი"1554" სიმაღლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ "2660"სიმაღლემდე და შემდეგ წარწერამდე"წყარო", რომელიც წარწერა "ხაჩი-ყალას" ჩრდილოეთით მდებარეობს. ორიგინალური ხელმოწერა: გენერალი მაზნიევი". სოფ. ლამბალო და სიმაღლე "2660" მოწინააღმდეგის მიერ დატოვებულ იქნა 1919 წლის 1 იანვრის 8 საათზე გენერალ მაზნიაშვილის მოთხოვნის შემდეგ, რათა არ მომხდარიყო მხარეებს შორის უშუალო შეხება. ომის დასასრულს მხარეების მიერ დაკავებული პოზიციები თითქმის მთლიანად ემთხვევა საქართველო-სომხეთის დღევანდელ სახელმწიფო საზღვარს.

აღნიშნულ ბრძოლებში ქართულმა მხარემ რამდენიმე ასეული მებრძოლი დაკარგა, 1500-მდე კი დაიჭრა. დაღუპულთა შორის იყო ვლადიმერ დავითის ძე ბარნაბიშვილი.

იგი დაიბადა 1896 წლის 19 მაისს გორის მაზრის სოფელ კავთისხევში. მამამისი კავთისხევის წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდელი, დეკანოზი დავით ბარნაბიშვილი გახლდათ. ვ. ბარნაბიშვილმა სწავლა-განათლება ტფილისის მეოთხე გიმნაზიაში მიიღო. 1916 წლის 15 იანვარს მან დაასრულა პრაპორშჩიკების სასწავლებელი და ოფიცრად გამწესებულ იქმნა ეკატერინბურგში. იქიდან კი გაგზავნეს დასავლეთის ფრონტზე გერმანელთა და ავსტრიელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მშვიდობით დაბრუნდა სამშობლოში. 1918 წელს ის გაგზავნეს ბორჩალოს მაზრაში აჯანყებული თათრების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამავე მაზრაში მეორედ, 1918 წლის 15 დეკემბერს გაგზავნეს. პოლკოვნიკ დავით ვაჩნაძისაგან ბრძანება მიიღო ასულიყო გორაზე თავის პატარა რაზმთან ერთად და ებრძოლა სომხების დიდ რეგულარულ ჯართან, დაახლოებით სადგურ აირუმთან. მან უსიტყვოდ შეასრულა უფროსის ბრძანება. მნახველების სიტყვით, გმირულად გაუძღვა თავის პატარა რაზმს, ხმალამოღებული ამხნევებდა და თვითონაც ესროდა მოწინააღმდეგეს. ბრძოლამ 3 საათნახევარი გასტანა. იბრძოლეს იქამდე, სანამ სულ არ ამოწყდა რაზმი თავის ოფიცერთან ერთად.

მოკლეს 15 დეკემბერს. გააშიშვლეს სულმთლად და 15 დღე შიშველი ეგდო მინდორში ნადირთა შესაჭმელად, მერე კი დაასაფლავეს ცხრა მხედართან ერთად. მისმა ძმამ და სიძემ ძლივს იპოვეს. ამოიღეს საფლავიდან და წამოასვენეს ტფილისში, სადაც მიტროპოლიტმა ლეონიდემ (ერისკაცობაში ლონგინოზ სოლომონის ძე ოქროპირიძე), ქაშუეთის ეკლესიაში შეუსრულა წირვა და პანაშვიდი. დაასაფლავეს წმ. ნინოს ეკლესიის სასაფლაოზე 1919 წლის 10 იანვარს.

გასვენებაზე სიტყვა წარმოთქვა ტფილისის მიტროპოლიტმა ლეონიდემ: "ჩემო სანატრელო სამშობლოვ, საყვარელო საქართველო! იცის ღმერთმა და მთელმა ქვეყანამ, რომ არავისთვის არ წაგვირთმევია, შენი ეს ხომ სატრფო და შესაშურავი თავი, რომლის დაპყრობის და ხელში ჩაგდების გაუქრობელი წადილი სულის მოსვენებას უკარგავს ჩვენს მეზობელს და არა მეზობელს ერებს. მზიანო და სხივმფენო ჩემო მშობელო მხარე! რა კაცის სახით წარმოვიდგინოთ, თუ არა ყველასაგან დაგმობილი, გაკიცხული ქამისა სომხეთისა და რუსეთის ის, ზოგიერთი უღირსი შვილები, რომლებსაც გაუწირავთ თავიანთი სამშობლო, არაფერს ზრუნავენ მამა-პაპათა სამკვიდროს მოწესრიგების შესახებ, არ აქრობენ ანარქიის ცეცხლს საკუთარს მამულში და შენსკენ მოიწევენ, შენს დაპყრობას ლამობენ, შენ გებრძვიან, სიცოცხლეს ისპობენ, რომ ფეხი მოიდგან და ბინადრობა დაიდონ შენს მადლიან მიწა-წყალზედ.

დედის ძუძუსავით ტკბილო საქართველო! შენს მტრებს განუზრახავთ შეუწყვეტელი ბრძოლით, სამტრო გამოსვლებით სხვა და სხვა ფრონტებზედ ხელიდგან გამოგგლიჯონ და სრულებით მოგისპონ ის მებრძოლი ახალგაზრდობა, რომელიც ფოლადის ჯავშნად გაკრავს გარს, რომელიც აუღებელ სიმაგრეებად სდგას ყველა საზღვრებზედ, რომელსაც ყოველთვის და ყოველგან გამოჰყევხარ გამარჯვებული. მაგრამ სასტიკათ სცდებიან უკეთურები. შენის დამოუკიდებლობისათვის დათხეული სისხლის თვითეული წვეთი გმირობის ვულკანს ჰბადებს ყოველი ქართველი მანდილოსნის და მამაკაცის გულში მიუხედავათ ასაკისა, და განა ასეთის ხალხის დამარცხება გაუგონია ვისმეს? ასეთი ერის განადგურება იცის კაცობრიობამ?

მართალია, გულს გვიკლავს, ნაღველს გვისიებს და თვალისჩინს გვიშრეტს უდროოთ მოწყვეტა სიცოცხლის ხიდგან ასეთის ვარდებისა, როგორიც არის ჩვენი წინამდებარე გმირი ვლადიმირი, მართალია ცეცხლი გვეკიდება ხოლმე, როდესაც ვლადიმირისთანა ვაჟკაცის კუბოს დაჰკვნესიან და დაჰქვითინებენ საცოდავი მშობლები, მაგრამ შეუდარებელო სამშობლოვ, განა ამ უშველებელ გმინვა-ტირილში და მგლოვა-მწუხარებაში გაისმის თუ გინდ სულმცირედი კილო სასოწარკვეთილობისა და სულმოკლეობისა? პირიქით, განა ეს ამოდენა მწუხარეობა საჯარო და საქვეყნო ფიცი არ არის იმისა, რომ მიცვალებულის მშობელნიც, ნათესავებიც, მეგობრებიც, თვის-ტომნიც იმასვე ისახამენ სიცოცხლის მიზნათ, რასაც განსვენებულმა შესწირა სიცოცხლე?

მაშ, დაიტირე, კარგა დაიტირე, დედაო ქეთევან, შენი მძვირფასის შვილის გაციებული გვამი, დაულტე მას ლამაზი სახე დედობრივი მხურვალე ცრემლით ისე, როგორც მან თავისი ცხელი სისხლით დაულტო სამშობლოს მკერდი. მოიოხე დამწვარი გული მწუხარების გამოთქმით, მაგრამ ამასთან ერთათ გაიხსენე, როგორც ქართველმა დედამ, შენი საღმთო მოვალეობა სამშობლოსადმი ნუ დაგავიწყდება, რომ დღეიდგან შენ უნდა ცოცხლობდე, მარტოთ-მარტო სამშობლოს თავისუფლების გამტკიცებისათვის და მხოლოდ ამითი დაუმტკიცებ შენ შვილს სიყვარულს, პატივისცემასა და ნამდვილ დედობასა.

ცრემლთა ნაკადულად დენით გარეთ გამოსასვლელი გზა გაუხსენ შენ გულში შეტბორებულ მწუხრეების დიდს მორევს, ერთი წლის განმავლობაში, სამი შვილის დამმარხველო, საბრალისო მამაო დავით! თოვლივით სპეტაკ თმა-წვერ-მოსილო მამაო დავით! ტირილით ამცენ მთასა და ბარსა, რა ცეცხლი გიტრიალებს შენს გულში, მაგრამ ის მცნებაც გახსომდეს, შენმა უდროდ დაკარგულმა შვილმა რომ დაგიტოვა, მტლედ დაედე სათაყვანო სამშობლოს და ამიერიდგან იცოცხლე იმისათვის რომ რითაც შეგეძლება, უზრუნველჰყო სამშობლო მათ ივე რაგობიდან ვისმა ტყვიამაც მზე დაუბნელა დაუვიწყარს ვლადიმირს.

გმირები უკვდავები არიან.

სამშობლოსთავის უფლების განმტკიცებისათვის ზვარაკად შეწირულები ორს რამეს ავალებენ ცოცხლებს: მათებრ სამშობლოს სიყვარულს, და მათვის ღვთისადმი ვედრებას.

წმიდაა ასეთი ანდერძი და ჩვენც გაუტეხელად შეუსრულოდ მათ იგი".

ხელმოწერილია: თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდე.

* დოკუმენტი და ფოტო დაცულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ ეროვნული არქივის საისტორიო არქივში.

ვანო ჯაბუა.

დასასრული.

კასპის მუნიციპალიტეტში:

– სამთავისის ტაძრის ინტერიერისა და ტერიტორიის რესტავრაცია და კონსერვაცია;

– კასპის საკათედრო ტაძრის (წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის ეკლესია) მშენებლობა;

– სამთავისის დედათა მონასტრის ტერიტორიისა და გალავნის აღდგენა და რესტავრაცია;

– ქვათახევის მონასტრის რესტავრაცია;

– იგოეთის გრაკლიანიგორის მუზეუმის მშენებლობა;

– სხვილოს ციხის (სოფ. ქვემო ჭალა) რეაბილიტაცია (პირველი ეტაპი).

გორის მუნიციპალიტეტში:

– ქ. გორში საკათედრო ტაძრისა და საეპისკოპოსოს სივრცის რეკონსტრუქცია;

– უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალის ინფრასტრუქტურის მშენებლობა;

– წეროსხევის, მარიამხევის და ოლოზის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიების აღდგენა და რესტავრაცია.

ქ. მცხეთაში:

– სვეტიცხოვლის ტაძრის გალავნისა და კედლების რეკონსტრუქცია;

ქ. თბილისში:

– ორმოცი სებასტიანელი მოწმის სახელობის ტაძრის რეაბილიტაცია;

ქ. სენაკში:

– აკაკი ხორავას სახელობის დრამატული თეატრის შენობის რესტავრაცია და რეკონსტრუქცია;

კვიპროსის რესპუბლიკაში:

– წმინდა ნიკოლოზისა და წმინდა გიორგის სახელობის ტაძრების არქეოლოგია და რესტავრაცია;

მიმდინარე პროექტები:

გორის მუნიციპალიტეტის ატენის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე ვერეს ღვთისმშობლის ტაძრის რესტავრაცია;

დაბა აბასთუმნის დედათა მონასტრის ეკლესიის კარიბჭისა და სამრეკლოს მშენებლობა...

აბულაძეთა ოჯახური მარანი "შატო შარამანი" ცოცხალი ძეგლია ქართული მეღვინეობისა, ამ მიმართებით – ქართველი კაცის განსწავლულობისა მევენახეობის სამყაროში (განსაზღვრება "დარგი", ან "სფერო", თითქოს ნაკლებად მიესადაგება, იმდენად წმინდა, ამაღლებული და ტრადიციულია ეს საქმე ჩვენებური მეურნისათვის).

"შატო შარამანი" შემნახველი და გამგრძელებელია ქართული მეღვინეობის რვაათასწლოვანი ტრადიციებისა. თავადი ამილახვრების "შარამანად" სახელდებულ ვენახებში უძველესი ჯიშები კვლავინდებურად ვაზობენ და ზვარობენ – ესაა "ჩინებული", "თავკვერი", "საფერავი","გორული მწვანე" ... ღვინოების დაყენების წესი? –ქვევრებში როგორც ტრადიციული, ისე ევროპის მეღვინეობის წამყვან ქვეყნებში აღიარებული მეთოდებით.

ქვემოჭალური "შატო შარამანი" 2022 წლის ოქტომბერში პირველად გამოჩნდა "კასპობის" ტრადიციულ დღესასწაულზე (ამის თაობაზე იხილეთ ინფორმაცია "ახალი განთიადის" წლევანდელი ოქტომბრისა და ნოემბრის ნომრებში), სადაც წარმოადგინა მრავალწლიანი ღვინოების ნიმუშები.

ა. კალანდაძე.

სპორტ INFO

იმედის ტალღის ჭაბუკები

ქართული სპორტის ქომაგი და მხარდამჭერი, თუნდაც საარაიონო ფანჯრიდან დანახულისა, მუდამ იყო და არის გაზეთი "ახალი განთიადი". წლიდან წლამდე,

ნომერ-ნომერ, იგი წარმოაჩენს ჩვენებური სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების ვინაობას და მათი გამარჯვებათა მაუწყებელია, სათანადო პატივს მიაგებს სპორტის ვეტერანებსა და ამაგდრებს და, ამასთან, გვაცნობს ახალ-ახალ სახე(ლ)ებს.

ასე იყო წელსაც: სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების (დირექტორის მ. შ. შოთა გოგიაშვილი) "სასპორტო გამოშვებათა" ყოველთვიურ გვერდებზე მკითხველს მიეწოდებოდა სხვადასხვა დონისა და მასშტაბის ასპარეზობებში ჩვენი სპორტსმენების მიღწევების ამსახველი ფოტო თუ ტექსტობრივი მასალა.

წლის ბოლოს კვლავ წარმოგიდგენთ რამდენიმეს:

✦ სიმონ ორბელაშვილი (კლასიკური წოლჭიდი) — საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო არაერთგზის ჩემპიონი და ტურნირების გამარჯვებული (19 და 23-წლამდელების ასაკობრივი ცენზის მიხედვით): 2022 წლის მაისში ქ. ალმატიში (ყაზახეთი) მოიპოვა მსოფლიო ვიცე-ჩემპიონის ტიტული.

✦ ლუკა ყეინაშვილი (კიკბოქსინგი) — 2022 წლის 16 ოქტომბერს საქართველოს ჩემპიონატზე (ახალგაზრდებს შორის) ჩემპიონი გახდა და ამით საკუთარ თავს უძღვნა ყველაზე იშვიათი საჩუქარი. საქმე ისაა, რომ იმ დღეს 16 წლის შესრულდა. ჯერ ერთი წელიც არ არის, რაც სოფელ დოესის საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე კიკბოქსინგში ვარჯიშობს (მანამდე კალათბურთი იტაცებდა) და უკვე წარმატებულია: აპრილში მემორიალურ ტურნირში გაიმარჯვა, ხოლო ივლისში შიდასაქვეყნო პირველობა მოიგო. ასევე, პირველი იყო ბათუმში, ქუთაისში, ახალციხეში, ზუგდიდში... ლუკა ამჟამად ქ. გორში ვარჯიშობს გამოცდილი მწვრთნელის, მსოფლიოს სამგზისა და ევროპის ჩემპიონის ვლადიმერ ჯანეზაშვილის ხელდასმულობით. სპორტში ლუკას თავისი კერპები ჰყავს: ადრე

კალათბურთში ეს იყო დანქერი საბა ნერგაძე (საკალათბურთო ორიგინალური ილეთების შემსრულებელი), რომელიც ერთხელ კასპშიც კი მოიპატიჟა და აქ დიდი საჩვენებელი გამოსვლა მოაწყეს. ახლა კი მისთვის მისაბაძია ლეგენდარული ტედი რინერი და გიგანტ ფრანგ ძიუდოისტთან სამახსოვრო ფოტოც გადაიღო, როცა ის ნოემბერში გორში სტუმრობდა.

✦ ნიკა ბერიანიძე (კრივი და კიკბოქსინგი) — ქ. კასპის მესამე საჯარო სკოლის მერვეკლასელი ყმაწვილკაცი და მისი მწვრთნელი, ოთარ თოიძე, წარუმატებლად მიიჩნევენ იმ შეჯიბრებას, სადაც ნიკა პირველ ადგილს ვერ ეუფლება. აი, ახლახან, დეკემბრის დასაწყისში, ქ. ერევანში დათმო გადამწყვეტი შეხვედრა საერთაშორისო ტურნირისა ადგილობრივ

მეტოქესთან და, ცხადია, ორივე უკმაყოფილო დარჩა, — სომხეთში ამისთვის მოვდიოდითო?! აი, სამაგიეროდ, როგორი მიღწევები დაახვავა ნიკამ 2022 წლის განმავლობაში: თებერვალი — ახალქალაქის საერთაშორისო ტურნირი, მარტი და მაისი — თბილისის "ღია რინგის" პირველობა. აპრილი — ზესტაფონის "ბრძოლები", ივნისი — საქართველოს ჩემპიონატი თბილისში, ივლისი — ბათუმური "შავი ზღვის თასის" გათამაშება, აგვისტო — კასპის საერთაშორისო ტურნირი... და ყველგან პირველი, პირველი, პირველი!

✦ ნიკოლოზ ჯანგიშერაშვილი (ჭადრაკი) — ნიკა პირველი ჩვენებური მოსწავლეა, ვინც 10-წლამდელთა შორის მსოფლიო პირველობაზე იასპარეზა. ეს ტურნირი წლევანდელ 15-27 სექტემბერს ქ. ბათუმში ჩატარდა და მასში 155 მონაწილე შეიკრიბა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. გონიერმა ქართლელმა ყმაწვილმა 5 მეტოქესთან გამარჯვებით დაასრულა თავისი პარტიები. მართალია, ერთით მეტი ორთაბრძოლა დათმო, მაგრამ, მთლიანობაში, თავის თავსაც კი აჯობა, რადგანაც ერთი თვით ადრე ქირურგიული ოპერაცია გადაიტანა (მარჯვენა იდაყვის ძვალი გაიტეხა აგვისტოში, თავისივე სოფელში, ახალციხეში, და არ იტყვით, სად? — საჭიდაო შეჯიბრებაში!)... ნიკამ წელსვე მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა, ასევე, ბათუმის საერთაშორისო ტურნირზე, სადაც პირველივე შეხვედრაში აჯობა ამერიკელ თანატოლს, რომელიც 10-წლამდელთა შორის მსოფლიო რეიტინგს ლიდერობს... მამამ, ყოფილმა სპორტსმენმა და ახლა კი სპორტის პედაგოგმა, შამილ ჯანგიშერაშვილმა, ჩვენი ყოჩაღი ნიკა ჭადრაკში შემდგომში დაოსტატების მიზნით, სასწავლებლად და სავარჯიშოდ ქ. თბილისში გადაიყვანა, სადაც ბიჭის მწვრთნელობა ჩაიბარა ცნობილმა მწვრთნელმა გიორგი მაჭარაშვილმა.

✦ მარიამ მანძულაშვილი და ელენე ჩიტიშვილი (ტაეკვონდო და კარატე) — ქალიშვილები

ერთ საჯარო სკოლაში სწავლობენ (კასპის მესამეში), მაგრამ ქალაქის სხვადასხვა სასპორტო კლუბის სახელით გამოდიან. მარიამმა წელს ქ. ბუქარესტში (რუმინეთი) იასპარეზა მსოფლიო პირველობაზე, ელენემ კი

ქ. სტამბოლში (თურქეთი). მარიამი გასული წლის ჩემპიონატის პრიზიორია (მას მამა წვრთნის), ამჯერად იგივე ვერ გაიმეორა. ასეთი დონის შეჯიბრება დებიუტანტმა ელენემაც უშედეგოდ დაამთავრა (მწვრთნელი — დავით დალაქიშვილი). იმედია, გაისად ისინი უკეთ იასპარეზებენ და კვარცხლბეკზეც დადგებიან.

✦ გიორგი ხიზამბარელი (ქართული ჭიდაობა) — 17 წლის გიორგი სოფელ ქვემო გომის საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელია. აქამდე არაერთხელ გაუმარჯვია როგორც კასპსა და სოფლებში, ისე გარე შეჯიბრებებშიც, მაგრამ ყველა ჯილდოსა და ტიტულს, ალბათ, ადვილად გაცვლის ერთში: — "მსოფლიო ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში". დიახ, ჭიდაობის რომელ სახეობაში (სამბო, ძიუდო, თავისუფალი, ბერძნულ-რომაული) არ გაჩემპიონებულა ქართველი კაცი, მაგრამ ქართულში?! ნამდვილად, არასოდეს!. ეს პირველად მოხდა, რომ საქართველოს დედაქალაქმა 2022 წლის 7 ოქტომბერს უმასპინძლა მსოფლიოს 33 ქვეყნის ახალგაზრდული წარმომადგენლობის დიდ ფორუმს და გიორგი მისი გამარჯვებული გახდა საწყის წონით კატეგორიაში.

გიორგის კვარცხლბეკზე სიამაყით ასვლის მომენტი დაუვიწყარია ჭაბუკი მოჭიდავისათვის, ვინაც სიმბოლური დაფნის გვირგვინით შემოსა ჩვენში ყველაზე ეროვნული სახეობის დასტურ საჭიდაო გვარის —ხიზამბარელების — ყველა იმ ქვეყნად წასული მოჭიდავის ნათელი ხსოვნა! ახალ-ახალი ხიზამბარელები გიმრავლოს, ჩვენო საქართველოვ!



განთიადი

..გოგლაანთ ჩონგური..

კარგად მოგვეხსენება, საქართველოში და, მათ შორის, ქართლშიც, თითქმის ყველა გვარს თავისი შტო აქვს. ჩემს ბავშვობაში როცა ძველი ხალხი მეკითხებოდა, — ვისი შვილიშვილი ხარ, რომელი ყაზარაშვილებისო? — მე თამამად ვპასუხობდი, — ვასო ყაზარაშვილისა - მეთქი! — უი, გოგლაანთ ვასიკოსი ყოფილხარო, გენაცვალე შენაო! — უმალ მიმიხვდებოდნენ ხოლმე და მათ პასუხზე ხომ ფრთები გამომესხმებოდა და ლამის მზად ვიყავი ცაში ასაფრენად!..

"გოგლაანთ ჩონგური" — ასეთი გამოთქმაც კი არსებობდა მაშინ კასპში. ზუსტად არ ვიცი, გოგლაანთ ყაზარაშვილების ჩვენი შტო მუსიკასთან და, კერძოდ, ჩონგურთან, რა კავშირში იყო, მაგრამ ფაქტია, რომ გოგლაანთ ვასომ 1947 წელს ცოლად მოიყვანა ეკატერინე ვასილევნა (როგორც მას მეუღლე ვასილი ეძახდა!) ბარისაშვილი მცხეთიდან და მას შემდეგ ყაზარაშვილების ოჯახში სიმებიანი საკრავების — ჩონგურის, ფანდურისა და შვიდსიმიანი გიტარის ხმიანობა არ შეწყვეტილა!

შეიძლება ითქვას, რომ სწორედ კატოს (იგივე ეკატერინე ბარისაშვილის) დამსახურებად მიმაჩნია ჩვენი საგვარეულო გენური ესოდენ ძლიერი მუსიკალური მონაცემების შემოჭრა და გაღვივება მომავალ თაობაში. მხოლოდ ერთს ვინატრებდი, რომ მასთან შეხვედრისა და მისი ცოდნისა თუ ტკბილი ხმის გაზიარების საშუალება მომცემოდა. ჩვენდა დასანანად, კატო ბაბო ნაადრევად გავიდა ამ ცხოვრებიდან და შვილიშვილების დიდ ნაწილს არ მოგვეცა მასთან ცოცხლად ურთიერთობის საშუალება.

ვასოსა და კატოს ოჯახში სამი შვილი დაიბადა — ჯემალი, მანანა და გიორგი. სამივეს კარგი მუსიკალური სმენა და მონაცემები აღმოაჩნდა, რამაც არ დააყოვნა და მცირე ასაკშივე იჩინა თავი: მანანასა და ჯემალის დუეტი მალევე შედგა და და-ძმამ მსმენელისათვის სიამოვნების მინიჭება დიდი სცენიდან დაიწყო. მათ კვალს გიაც ფეხდაფეხ მისდევდა და კასპში მოქმედი სხვადასხვა ინსტრუმენტული ბენდის აქტიური წევრი იყო როგორც გიტარისტი და მომღერალი. ამჟამად უმცროსი გიორგი, გარკვეულწილად, მამის ხაზს აგრძელებს და დღეს რამდენიმე ბენდში დასარტყამ ინსტრუმენტზე უკრავს.

ეკატერინე ყაზარაშვილი

ვფიქრობ, ჩემი დღევანდელი მუსიკალური კარიერა მთლიანად ოჯახის დამსახურებაა. მუსიკალური ნიჭი მამის მხრიდან (ბებიის ხაზით) მერგო და გამიმართლა, რომ ისეთი მშობლები მყავს, რომელთათვის მუსიკა არასდროს ყოფილა მხოლოდ გართობის საშუალება, და მას მუდამ ისე უყურებდნენ, როგორც მაღალ ხელოვნებას, ჩემს მომავალ პროფესიას.

დიახ, მშობლებმა ძალიან პატარას შემამჩნიეს მუსიკალური მონაცემები. ჩემი უფროსი ძმა როდესაც საბავშვო ბაღის ზეიმისათვის სიმღერას ამზადებდა, მე, ჯერ კიდევ ორი წლისა, უშეცდომოდ ვიმეორებდი სიმღერის მელოდიას. შემდეგ უკვე ბაღში თავად ვუკრავდი ფორტეპიანოზე. კარგად არ მახსოვს ეს მომენტი, მაგრამ ვიდეოჩანაწერები და ახლობელი ადამიანების მეხსიერება ამ ყველაფერს ინახავს. დასანანია, რომ მაშინ ასეთი ტექნიკური საშუალებები არ იყო, სიამოვნებით ვნახავდი ჩემი ადრეული ბავშვობის იმ საოცარ კადრებს.

ბავშვობის წლებიდან გამოვყოფდი კასპის კულტურის სახლთან არსებულ "ბასტი-ბუბუს" სტუდიას, სადაც გაიარა ჩემი ბავშვობის ბედნიერმა წლებმა (აქ აუცილებლად მადლიერებით უნდა ვახსენო იზაბელა კობიაშვილისა და თამილა რომაშვილის სახელები). შემდეგ იყო კასპის სამუსიკო სკოლა, სადაც უაღრესად მნიშვნელოვანი და, პროფესიული ზრდის თვალსაზრისით, საინტერესო წლები გავატარე. სწორედ აქ, ამ სკოლაში, დამხვდნენ ნამდვილად მაღალპროფესიონალი და თავიანთ საქმეზე შეყვარებული მუსიკოსები, ჩემი ძვირფასი პედაგოგები — უპირველეს ყოვლისა, მანანა სოზიაშვილი, ცისნარი შუბითიძე, გივი ბახტაძე, ზვიად კირვალიძე, სხვა ძალიან საყვარელი პედაგოგები და მეგობრები.

კასპის სამუსიკო სკოლის დასრულების შემდეგ იყო თბილისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის მესამე სამუსიკო სასწავლებელი, სადაც 6 წელი ვსწავლობდი საფორტეპიანო განყოფილებაზე. პიანისტური გზის პარალელურად გალობა დავიწყე კასპის წმინდა თეოდორე ტირონის ტაძარში. ამგვარად, ქართულ ტრადიციულ მუსიკასთან ზიარება კიდევ ერთი ცენტრალური გზა აღმოჩნდა ჩემს პროფესიულ ცხოვრებაში. საეკლესიო გალობით დაინტერესება წლების მანძილზე ისე გაღრმავდა, რომ განსაზღვრა ჩემი მომავალი პროფესიული ინტერესები. კერძოდ, პიანიზმიდან გადავედი მუსიკოლოგიაში და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში წარმატებით ჩავაბარე მუსიკათმცოდნეობის ფაკულტეტზე. ჩემი სწავლის სამივე საფეხური დაკავშირებულია საეკლესიო მუსიკის კვლევასთან. ამ ეტაპზე დისერტაციის დაცვის მოლოდინში ვარ.

2011 წელს ჩავაბარე მაგისტრატურაში და 2012 წლიდან დღემდე ვარ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საეკლესიო მუსიკის მიმართულების თანამშრომელი. ამ წლების განმავლობაში დავგეგმე და ჩავატარე არაერთი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება უშუალოდ კონსერვატორიაში, თუ მშობლიურ მუნიციპალიტეტში. 2014 წლიდან 2021 წლამდე ვიყავი კასპში ფოლკლორის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი. 2018 წლიდან კი გალობის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი და საეკლესიო გალობის პედაგოგი ვარ.

სტუდენტებთან ურთიერთობა ყოველდღიურად მზრდის და ესაა სწორედ ის საქმე, რასაც დიდი სიამოვნებით ვაკეთებ და არც არასდროს მომბეზრდება. სხვათა შორის, დღემდე ვგალობ კასპის წმინდა თეოდორე ტირონის ტაძარში. მიმაჩნია, რომ ღვთის მსახურებაში მონაწილეობა დიდი პასუხისმგებლობაა, იმავდროულად — დიდი წყალობაა. ასეა, ლოცვა და წირვის მადლი მეხმარება, კვირიდან კვირამდე გავართვა თავი უამრავ დაკისრებულ მოვალეობას.

ჩემი ოჯახია ის ნეტარი ადგილი, ჩემი ოჯახის წევრები არიან ის ადამიანები, სადაც და ვისთანაც შემიძლია, სხვადასხვა ჟანრის მუსიკა დავუკრა და ვიმღერო, თამამად გავუზიარო საკუთარი პროფესიული ინტერესები, ყოველდღიური ჩანაფიქრი და ახალ-ახალი გეგმები, ვიმსჯელო თუ ვიკამათო კულტურის სფეროსთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე.

მე ბედნიერი ვარ, როცა ვფიქრობ, რომ კასპში ბევრ ისეთ ოჯახს ვიცნობ, რომლის წევრთა შემადგენლობაში ნამდვილად არის შემოქმედებითი სული, ანუ ის სახალხო სიმდიდრე, რომელიც არ უნდა ჩაქრეს აროდეს. პირიქით, იგი უნდა გაღვივდეს და განვითარდეს.

კულტურული ცხოვრების დღიურები

✦ ოპერის მომღერალმა მიხეილ შეშაბერიძემ იტალიური ტრიესტეს სცენაზე იქაური პუბლიკა ოტელოს როლით მოხიბლა

ქართველმა საოპერო მომღერლებმა, მიხეილ შეშაბერიძემ და სალომე ჯიქიამ ვერდის ცნობილ ოპერაში "ოტელო" მთავარი როლები შეასრულეს. უპირველესი შეფასება ასეთია: ოტელოსა და დეზდემონას პარტიების მაღალოსტატური განსახიერებით მათ იტალიაში ნამდვილი ფურორი მოახდინეს. ეს მოხდა ქ. ტრიესტეს ვერდის სახელობის ოპერის სცენაზე, იქაური პუბლიკა კი მეტისმეტად მომთხოვნი და კრიტიკულია. ქართველი მუსიკოსი ნინო ჟვანია, რომელიც მოწმე იყო მათი ბრწყინვალედ განსახიერებული როლებისა, სოციალურ ქსელში აღტაცებული წერს: – "ოტელოს პარტია ერთ-ერთ ურთულესად ითვლება არა მარტო შესრულების, არამედ სხვა თვალსაზრისითაც, ისევე, როგორც მთლიანად ოპერა. ამიტომაა, რომ ის, ვერდის სხვა ოპერებთან შედარებით, იშვიათად იდგმება. პრობლემას, უპირველეს ყოვლისა, მთავარი პარტიის მაღალი დონის შემსრულებლის პოვნა წარმოადგენს, ეს პარტია მომღერლისგან მოითხოვს მონაცემებისა და უნარების განსაკუთრებულ კომპლექსს, რომელსაც ცოტა მომღერალი თუ ფლობს... დიდად საამაყოა ის ფაქტი, რომ ცნობილი ქართველი მომღერალი მიხეილ შეშაბერიძე ესოდენი პროფესიონალიზმით წარუდგა ტრიესტელებს... ნამდვილი ბედნიერებაა, რომ ქართველებს გვყავს ასეთი მომღერალი, ასეთი ოტელო"...

✦ კავთურისხეობელი ხელოვანი არჩეულია ქ. თელავის საპატიო მოქალაქედ

2022 წლის ნოემბერში ქ. თელავში, ერეკლე მეფის სასახლის მიმდებარე სკვერში, გაიხსნა ახალრეაბილიტირებული ძეგლი "შენ ხარ ვენახი". იგი წლების განმავლობაში ამშვენებდა კახეთის მხარის მთავარ ქალაქს და მის სიმბოლოდ განიხილებოდა... რამ განაპირობა ძეგლის

დასასრული გვ9.

ამ პირობით თემატურ რკალში შეიძლება მოვიაზროთ ქვემოთ შემოთავაზებული პროზაული და პოეტური სტრიქონები, რომლებიც წარმოადგენს ამონარიდს ჩვენთვის კარგად ნაცნობი კალმოსანი ადამიანების შემოქმედებიდან. ესენი არიან ჩვენებურები: მთარგმნელი და პოეტი, კასპისა და კავთისხევის საპატიო მოქალაქე ვახუშტი კოტეტიშვილი; კასპის სოფელ ზემო ხანდაკის სკოლის კურსდამთავრებული იმირ მამედლი (ამჟამად ქ. ბაქოში მოღვაწე აკადემიკოსი); ასევე, ახალგაზრდულ ასაკში ტრაგიკულად დაღუპული მწერალი გურამ რჩეულიშვილი.



მატარებლის ფანჯრიდან დანახული კასპი

ვახუშტი კოტეტიშვილი (1935–2008)

(ნაწყვეტი მისადმი მიძღვნილი გამოსათხოვრიდან, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ "ახალი განთიადის" 2008 წლის სექტემბერში):

... კავთისხევთან დაკავშირებით გასახსენებელი ძალიან ბევრი მაქვს. პატარაობისას მატარებლით რომ გავივლიდით და ჯერ კიდევ ნამყოფი არ ვიყავი კავთისხევში, ძალიან მაინტერესებდა, ცნობისმოყვარეობით ავეკვრებოდი მატარებლის სარკმელს და ვუმზერდი სადგურიდან მოშორებით, მთებსა და გორაკებს მიღმა სოფელს. 12 წლის ვიყავი, როდესაც ჩემმა დამ კავთისხევში წამიყვანა. წავედით კოტეტიშვილებთან სტუმრად. სარდიონ კოტეტიშვილის ოჯახში გავატარეთ ის ზაფხული, ეს იყო დაუვიწყარი დღეები ჩემს ბავშვობაში. სწორედ იქ შევსრულდი 13 წლის. ახლოს გავიცანი ჩემი სანათესაო. სწორედ იქ დავუახლოვდი ძია დათიკოს. ეს იყო ექიმი, არაჩვეულებრივი ქართველი. მის შთამომავლებთან დღესაც მაქვს ნათესაური კავშირი. მაშინ გავიცანი კავთისხევში მიტო და ფარნაოზ კოტეტიშვილები. ერთი სიტყვით, ვიყავი ძალიან ბედნიერი, როცა ამდენი კოტეტიშვილი ერთად აღმოვაჩინე.

... ძალიან თბილი მოგონებები მაქვს გამოყოლილი კავთისხევიდან. მიყვარს იქაურობა, ღმერთმა დალოცოს და ამრავლოს მთელი საკავთისხევო.

გურამ რჩეულიშვილი

(1934–1960)

(ნაწყვეტი ნოველა-ნარკვევიდან "უსახელო უფლისციხელი"):

... ახლა, როდესაც გავეცანი ამ ქალაქისა და მისი მიდამოების ისტორიას, მივდივარ მის სანახავად. დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი უკვე ნაცნობი იქნება ჩემთვის. მატარებელი დილით გადის. დილა რუხია და მოწყენილი. არა ცხელა. ლიანდაგი გზას მიიკვლევს უამრავ პატარა თუ დიდ სახლებს შორის. მერე ქალაქი თავდება. სახლების რიგი კი გრძელდება, მერე წყდება. ახლა მთაზე რაღაც საყდარი მოჩანს, შემდეგ ისევ რიგია სახლების. ზევით, მთაში, გვირაბი გაჰყავთ. მტკვრის მეორე მხარეს ვენახებში იფლობა დიღმის ველი...

... იქით ხეობებია ქართლის, კლდეკარები, სააკაძის სამშობლო ნოსტე, ერთაწმინდა. აქეთ, კასპის მიწაში, ორი ათასი წლის წინანდელ სამოსახლოებს ვხედავ. მატარებელი ჩერდება. მიდის. ჩერდება.

გრაკლიდან ხოვლე მოჩანს. ხოვლის ბოლოზე უძველესი სამოსახლო ბორცვი ითხრება. მატარებლიდან საკონტროლო თხრილი ჩანს შავ ხაზად. მატარებელი ისევ მიდის. ჩერდება. მე ქვახვრელში ჩავდივარ. აქ, ქვაში, ხვრელებია სამოსახლო – იმიტომ ჰქვია ქვახვრელი. მწვანეში ზის ახლანდელი სოფელი. ჩემს პირდაპირ მტკვრის მარცხენა ნაპირიდან უფლისციხე იყურება გამოთხრილი თვალებით. მე მტკვრის ნაპირზე ვჯდები. ვისვენებ. ჩემს პირდაპირ ბორანს აკეთებენ. იმის უკან სახლს აშენებენ. დავიღალე, ამდენი შთაბეჭდილება ერთ დღეში. ერთი ადგილი ვერ ვნახე, რომ თავისი ისტორია არ ჰქონდეს, რომ ქვა არ იყოს ქვაზე დადებული.

დასასრული. ხელმეორე დადგმა? – საქმე ისაა, რომ 2012 წელს მისი დემონტაჟი მოხდა ქალაქის ცენტრალური სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოების გამო...

და, აი, ათწლიანი "მოლოდინის" შემდეგ ქალაქს დაუბრუნდა განახლებული რამდენიმემეტრიანი სიმაღლის შესანიშნავი კულტურული ძეგლი: თელავის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან ანდრიაშვილმა ძეგლი მის ავტორთან, ცნობილ მოქანდაკე ჯემალ თუშურაშვილთან, ერთად გახსნა. კიდევ ერთი, მრავალმხრივნიშანდობლივი ფაქტი: თელავის წინაშე დამსახურებისა და ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ჯემალ თუშურაშვილი არჩეულიქნა ქ. თელავის საპატიო მოქალაქედ (83 წლის შემოქმედი ამჟამად კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევში ცხოვრობს და კვლავ აღსავსეა არაერთი სახელოვნებო იდეით).

***

✦ საპატიო ზაქარიაძელი კასპიდან

ამას წინათ დაარსებიდან 85-ე წლისთავი შეუსრულდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯს.

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მისმა დირექციამ საპატიო სიგელებით დააჯილდოვა ყოფილი კურსდამთავრებულები, ვისაც

საკუთარი წვლილი შეაქვს ქართული კულტურის წარმატებებში. მათ შორის არის ხელოვანი ქალბატონი კასპიდან – ქეთევან მონასელიძე: ცეკვის აკადემია "დიდგორის" სამხატვრო ხელმძღვანელი, დამსახურებული ქორეოგრაფი – პედაგოგი, არაერთი ქორეოგრაფიული ჯილდოს მფლობელი და საპატიო წოდების ლაურეატი.

***

✦ საყმაწვილო თეატრმა "ფარდის მიღმა" პირველად გახსნა ფარდა

ჩვენი ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში სასიამოვნო სიახლეა – შეიქმნა და ამოქმედდა საყმაწვილო თეატრი! კასპის კულტურის ცენტრის სცენაზე თეატრალური წარმოდგენები გასტროლიორ კოლექტივებსაც დაუდგამთ და ადგილობრივ მოყვარულ მსახიობებსაც. ეს კარგახნის წინ ხდებოდა. მაგრამ, აი, ამიერიდან საკუთარი დასი რომ ეყოლება ქალაქს "ფარდის მიღმას" გოგო-ბიჭების სახით, სახვალიოდ იმედს მართლა ბადებს.

აგერ, 10 დეკემბერს, პრემიერაც გამართეს, აპრილის აქეთ იმდენი ირეპეტიციეს, დებიუტი გაუმართლდათ ნორჩ მსახიობებს და მათ ხელმძღვანელს – ეკატერინე ქვრივიშვილს, ვინც პროფესიონალი მსახიობია ქ. რუსთავის თეატრში და ახლა მშობლიურ მხარეში რეჟისორად მოევლინა თეატრალობაზე მეოცნებე, კასპისა და სოფლების სკოლებიდან საგანგებოდ შერჩეულ მოსწავლეებს.

საპრემიერო თეატრალიზებული კომპოზიცია ეფუძნა ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, ვაჟა-ფშაველას, პოემებს და სათაურდებოდა ცნობილი ანდრეზით: "საშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენს ნურვინ შეგვეცილება"...

ახალი თეატრალური დასის წარმატებული დებიუტის მოწმენი და მონაწილენი იყვნენ მუნიციპალიტეტის მერიისა და მისი კულტურის სამსახურის ხელმძღვანელი მუშაკები, თბილისელი და რუსთაველი სტუმრები, რეჟისორის მეგობრები, ნორჩი მსახიობების მშობლები, დაინტერესებული პუბლიკა.

***

✦ სალოტბარო სკოლის მოსწავლეები – მუზეუმში

ერთი წელი არაა, რაც კასპის სამუსიკო სკოლასთან არსებულ სალოტბარო სკოლას, საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ცენტრის წარდგინებით, ახალი რეგენტი-პედაგოგი ჰყავს: თორნიკე მერაბიშვილი – ცნობილი ანსამბლი "ბასიანის" წევრი. მან თავისებური მეთოდები და ხერხები გამონახა ქართულ ტრადიციულ სიმღერებზე შეყვარებულ გოგო-ბიჭებთან. ყოველკვირეული რამდენიმედღინი მეცადინეობები ხომ თავისთავად საინტერესო და სასარგებლოა მოსწავლეებისათვის და სკოლისგარეშე აქტივობებსაც სთავაზობს მათ.

მაგალითად, ზაფხულში ერთობლივი ექსკურსია მოუწყო ბუნებრივ გარემოში და ქვათახევის სამონასტრო კომპლექსი მოახილვინა, სულ ახლახან კი შეგირდები ასტუმრა კასპის

კულტურული ცხოვრების დღიურები

გიორგი ხორგუაშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. ასეთი შემეცნებითი და სასწავლო ხასიათის ღონისძიებები ნამდვილად მრავალმხრივ წაადგება სალოტბარო სკოლაში მომეცადინე მოსწავლეებს.

***

✦ ნინო მოდრეკილაძე პროზითაც პრიზიორობს

წლევანდელი დეკემბრის დასაწყისში ქ. ბათუმში მოეწყო, არც მეტი და არც ნაკლები... "ლექსების გამოფენა – 2022".

ქართველ პოეზიართა კონკურსში ახალი ლექსებით წარდგა კასპელი ნინო მოდრეკილაძე (შარშანდელი დეკემბრის ნომერში მის შესახებ "ახალმა განთიადმა" ვრცლად მოგითხროთ).

მისი ლექსი "ჩემს თავზე ვბრაზობ" ბათუმური კონკურსის მესამე პრიზით აღინიშნა. საინტერესოა, რომ ნინო მოდრეკილაძემ პროზაული სტრიქონებიც წარადგინა და მისეული "აღარმე" მეორეადგილოსნის პრიზით დაჯილდოვდა.

***

✦ "ტაშარი" მიწვეულია ბორჯომ-ბაკურიანის ფესტივალზე

სოფელ ზემო ხანდაკის კლუბთან არსებული ქორეოგრაფიუყლი ანსამბლი "ტაშარი" (ხელმძღვანელი – შორენა მწითურიძე) მიწურული წლის ბოლოს მიწვეულია დიდ წინასაახალწლო საკონცერტო ღონისძიებაში მონაწილეობისათვის. ის ტრადიციული და პრესტიჟულია და ბორჯომ-ბაკურიანის სახელით არის ცნობილი. შიდაქართლური ანსამბლი იქ გასულ წლებშიც გამოდიოდა.

(ცნობისათვის: ანსამბლი "ტაშარი" ზემო ხანდაკში 2004 წელს შეიქმნა და თანამედროვე გმირი ვაჟკაცის, მამულის ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული ტარიელ შარიფაშვილის (1960–1993) სახელს ატარებს. "ტაშარი" არაერთი შიდა საქვეყნო ფესტივლის, დათვალიერების, სახალხო დღესასწაულის დიპლომანტი და ლაურეატია).

„მამულო, ს ი ც ო ც ხ ლ ე ო!"

... რვიანლიებზე, ჯვრითვიერლიების გამვრეკვებზე



კიდევ კარგი, მამულის სიყვარული ჯიუტია და მძლეთამძლე, თორემ წაგვიღებდა და გაგვაქრობდა ჭრილობაში ჩარჩენილი ტყვიები ... ტარიელ შარიფაშვილი იმ თაობის მკვეთრად გამოხატული წარმომადგენელია, ილიაზე ფიქრისას საქართველოზე რომ ფიქრობენ, ის, ვინც მატერიალური გაჭირვების გამო მხოლოდ საკუთარი, კერძო მომავლის გეგმებს არ აწყობდა, მან იცოდა და გრძნობდა, რომ სულიერების აღორძინების გარეშე შეუძლებელია ნინ ნასვლა... მან და მისმა თაობამ იცოდა საქართველოს დამოუკიდებლობის ფასიცა და მნიშვნელობაც. აკი ომის დაკარგული თაობაც შეარქვეს იმ დიდებულ პლეადას, უყოყმანოდ რომ შეეწირნენ საქართველოს მთლიანობასა და დამოუკიდებლობას.

რამდენმა თაობამ წაიღო საიქიოში დარდი საქართველოს დამოუკიდებლობის ვერაღდგენის გამო. რამდენი დრო, ენერგია, თავდადება და სიცოცხლე შეეწირა ყველაზე მთავარის — თავისუფლების მოპოვების ყოვლისმომცველ სურვილს.

მაშინ, როცა ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა ღრმა იატაკქვეშეთში აერთიანებდა ნამდვილ ქართველებს, ყველაზე დიდ ოპტიმისტ პატრიოტსაც უჭირდა თავისუფალი საქართველოს ნარმოდგენა. მზად იყვნენ საბრძოლველად, მაგრამ ერთი ნუთითაც არ ტოვებდათ შიში, რომ დიდი იმპერიები ვერ დათმობდნენ „გემრიელ ლუკმას," სოლო, როცა ბრძოლა იწყება, მრავალ დამნაშავეს შეიძლება უღანაშაულოც მიკუვეს, დროში გაკრცობილი ბრძოლა კი ყველაზე ძნელი მოსაგებია.

რამდენ მოლოდინს იტევდა საქართველოს დამოუკიდებლობა...

მრავალთაგან განსხვავებით ტარიელ შარიფაშვილს ჰქონდა მტკიცე შეგნება იმისა, რომ სამშობლოს ბედნიერი მომავლისათვის მსახურების ბევრი გზა არსებობს და თითოეული მთავარი და ერთადერთია.

მან იცოდა, რომ ბედნიერება არ არის ბევრი სახლი (ქალაქში, ზღვაზე, მთაში), ბარაქიანი საბანკო ანგარიშები (ურყევ ვალუტაში), გავლენიანი "მეგობრები," საჩვენებელი კოლექციები: იარაღების, ძაღლების, საათების ... და საერთოდ, საჩვენებელი ცხოვრება მისთვის ისეთივე გაუგებარი იყო, როგორც ყველაფერი არაბუნებრივი.

მატერიალურ კეთილდღეობას ამოფარებული მედროვეები ძალიან არაკომფორტულად გრძნობდნენ მასთან თავს, თუმც რატომ? ამას ვერ ხვდებოდნენ. ისე კი ყველა სიკეთეს იმსახურებდა, სწორედ იმიტომ, რომ მისი ბედნიერება ადამიანებთან ურთიერთობას, სამშობლოს მსახურებასიყვარულს, ღირსეულ, ვაჟკაცურ ცხოვრებას გულისხმობდა და, საერთოდ, ბუნებრივი იყო მოქმედებით, მსახურებით, პოზიციით.

პირველ შეხვედრაზე თქვა, რომ ძალიან უყვარდა ისტორიული წიგნები მეფეებზე, რაინდებზე, ქართველების გამარჯვებაზე. მაშინ ვიფიქრე — ეს რა ნამდვილი მხედართმთავარივით ლაპარაკობს - მეთქი. აბა, როგორ წარმოვიდგენდი, რომ ჩემს წინ ჩვენი დროის გმირი იჯდა. "გმირი" ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ის უკვე გამგებელი იყო და ეს სინამდვილე განსხვავებულ ასპექტში გვაჩვენებდა მის სახეს.

მაშინ ნამდვილი ომი იყო უშუქობით, უგაზობით, უყველაფრობით ... თუმცა, პურს კასპიდან ეზიდებოდნენ გორში, ქარელში, ხაშურში. სახელმწიფო მეთაურის აპარატში რომ გაიგეს, კასპელი ვიყავი, პირველი ეს მკითხეს - კასპში მართლა თეთრი პური ცხვებაო? აქ დატვირთვა "მართლა თეთრზე" მოდიოდა. ქვეტექსტი კი ასეთი გახლდათ "თეთრი პური თბილისში არა გვაქვს და თქვენ დედაქალაქზე კარგი პური გქონიათო?!"

რა შრომა, გარჯა და თავდადება უჯდებოდა ტარიელ შარიფაშვილს იმ პურით მომარაგება, მარტო მან იცოდა. ბატალიონსაც პატრონობდა, თუმც იმ დროს ის უფრო პოპულარული ამბავი იყო შარიფაშვილის ჯარისკაცები როგორ ვერ სარგებლობდნენ ომის კანონით და უალაფოდ ბრუნდებოდნენ სახლში.

შინაგანი დისციპლინით იგი ყოველთვის აღწევდა წარმატებას, მაგრამ შორს იყო ასკეტიზმისაგან.

... იგი კეთილი, თავისი ხალხის წარსულით და ღირსეულ მხედართმთავართა ისტორიით დაინტერესებული და მოხიბლული ვაჟკაცი გახლდათ.

მან იცოდა გაზეთის ფასი, მნიშვნელობა, და მართლაც, ღირსეულად ედგა გვერდში რედაქციას. გაზეთი რომ გამოდის და სკოლაში სწავლა არ ჩერდება, ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვისო — ხშირად მომისმენია მისგან. იმ უშუქობაში გაზეთი შეუფერხებლად გამოდიოდა და როგორც სამხედრო ჟურნალისტებმა თქვეს, მაშინდელი "განთიადის" მასალებმა ფასდაუდებელი სამსახური გაუწია უახლესი ისტორიის შენახვას. ტარიელ შარიფაშვილის თანადგომით გამომავალ გაზეთში დაბეჭდილი ინფორმაციული შენიშვნები თუ ინტერვიუები დღეს უკვე ჩვენი სამშობლოს ისტორიის უტყუარი დოკუმენტებია.

გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე, გამგეობის შენობის წინ დაგვპირდა: "- თუ არ მოვკვდი გაზეთის გავრცელების პრობლემას აუცილებლად მოვაგვარებო ..." — ისეთი მხნე იყო, ძლიერი, სიცოცხლით სავსე, მის სიკვდილს როგორ წარმოვიდგენდით, როგორ ვიფიქრებდით, როგორ დავუშვებდით...

ახლა უკვე შეგვიძლია ვთქვათ, მისთვის საქართველოს ჯარისკაცობა პროფესია არ იყო, ჯარისკაცობა მისი ბედისწერა გახლდათ.

მის გარშემო მყოფთ (ვინ იცის, ზოგმა თვალის შევლებაც ვერ მოასწრო) გვიზიდავდა სიალალის განუმეორებელი ხიბლი. იგი თავისთავად გამორიცხავდა ყოველგვარ ყალბს, მოგონილს, ნიღბისმიერ ურთიერთობებს, მოიცავდა მხოლოდ ნამდვილს, მართალს.

ჩვენ, ჟურნალისტებს, ხშირად გვსაყვედურობენ, უფერული და საშუალო მონაცემების სუბიექტთა მაღალ პიროვნებებად წარმოსახვა რომ "შეგვიძლია" ... მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ხერხი უადგილოა. ტარიელ შარიფაშვილი ომის თაობის რეალური წარმომადგენელია, შესაბამისი სიმამაცით, უდრეკლობით, ტრაგიზმით. იგი იმ ქართველ ჭაბუკთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთაც განგება ფართო სარბიელზე გასვლის შესაძლებლობას აძლევს, მათ კი შესწევთ ძალა თავი დააღწიონ იმ გრძნეულ გარსს, რასაც ჩვეულებრივ პროვინციალიზმს უწოდებენ. ნუ შეგვაშინებს ეს სიტყვა, უნდა სწორად გავიგოთ, რომ პროვინციალიზმში დასახლებულ პუნქტს კი არ ვგულისხმობთ, არამედ აზროვნების სტილსა და მანერას.

ტარიელ შარიფაშვილის ხასიათის მრავალი საინტერესო რამ ჩვენთვის ჩაკეტილ კარს მიღმა დარჩა და ახალი აღმოჩენებიც აღარ გველის, მაგრამ ერთი ფაქტია, ასეთი ვაჟკაცების სიკვდილით ძალიან ბევრი აკლდება ეროვნულ სულს, ან იქნებ სწორედ მათ ძალუძთ, დაგვარწმუნონ, რომ სიკეთისა და ბოროტების მარადიულ ბრძოლაში შეიძლება მოკვდე, მაგრამ ვერ დამარცხდე.

... დაბადების დღეს გილოცავ, მეგობარო!

ნანა მერებაშვილი.



ახალი განთიადი

ახალი განთიადი

2023 წელი

იანვარი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პა	შა	კვ
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

თებერვალი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პა	შა	კვ
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28					

მარტი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პა	შა	კვ
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30	31		

აპრილი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პა	შა	კვ
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30

მაისი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პა	შა	კვ
1	2	3	4	5	6	7
8	9	10	11	12	13	14
15	16	17	18	19	20	21
22	23	24	25	26	27	28
29	30	31				

ივნისი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პა	შა	კვ
			1	2	3	4
5	6	7	8	9	10	11
12	13	14	15	16	17	18
19	20	21	22	23	24	25
26	27	28	29	30		

ივლისი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პა	შა	კვ
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30
31						

აგვისტო

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პა	შა	კვ
	1	2	3	4	5	6
7	8	9	10	11	12	13
14	15	16	17	18	19	20
21	22	23	24	25	26	27
28	29	30	31			

სექტემბერი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პა	შა	კვ
				1	2	3
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	

ოქტომბერი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პა	შა	კვ
						1
2	3	4	5	6	7	8
9	10	11	12	13	14	15
16	17	18	19	20	21	22
23	24	25	26	27	28	29
30	31					

ნოემბერი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პა	შა	კვ
		1	2	3	4	5
6	7	8	9	10	11	12
13	14	15	16	17	18	19
20	21	22	23	24	25	26
27	28	29	30			

დეკემბერი

ორ	სამ	ოთხ	ხუთ	პა	შა	კვ
				1	2	3
4	5	6	7	8	9	10
11	12	13	14	15	16	17
18	19	20	21	22	23	24
25	26	27	28	29	30	31

გამოგვეხმაურეთ!



შეგიძლიათ, მიგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების იბიგინალური ფოტოები, ნახატები, გამონათქვამები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში

გახლით ჩვენი მკითხველი!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება შ.პ.ს. კოლორ პრესში

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ. კასპი საკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76